

ქ. ბორჯომი

20 თებერვალი 2019 წელი

კომისიას ესწრებოდნენ:

1. ლევან ლიპარტია - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
2. ჯუმბერ ბერიძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი;
3. გიორგი ყიფიანი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი ;
4. გიორგი ჩადუნელი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
5. მაია პაიჭაძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
6. მაია მახარაშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
7. ეკა ლონდარიძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;
8. ელისაბედ მჭედლიშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;
9. ეკატერინე სორდია - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;

დღის წესრიგი

ქ. ბორჯომში პეტრიწის ქუჩის, თორის ქ # 57-60-ის მიმდებარე ჩიხების, რობაქიძის ქ#13-ში, #4 საბავშვო ბაღთან მისასვლელი ჩიხის და ვაშლოვანის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება, სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება და დამტკიცება.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ლიპარტიამ კომისიას მოახსენა, რომ სხდომას მდივნობას გაუწევს სატენდერო კომისიის აპარატის წევრი ეკა ლონდარიძე.

სატენდერო კომისიის აპარატმა კომისიას მოახსენა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 15 იანვრის #02/226 ბრძანებით და გათვალისწინებულია ქ. ბორჯომში პეტრიწის ქუჩის, თორის ქ # 57-60-ის მიმდებარე ჩიხების, რობაქიძის ქ#13-ში, #4 საბავშვო ბაღთან მისასვლელი ჩიხის და ვაშლოვანის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

სამუშაოების შესყიდვა. შესყიდვების ობიექტების ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის #7 ბრძანების თანახმად, აღნიშნულ შესყიდვას შეესაბამება კლასიფიკატორის კოდი 45233200 „გზების საფართან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სამუშაოები“.

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ე)-პუნქტის შესაბამისად შესყიდვა ექვემდებარება ელექტრონული ტენდერის ჩატარებას. სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.








კომისიამ განიხილა სისტემაში განსათავსებელი სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 403570 (ოთხასსამი ათას ხუთას სამოცდაათი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით, მიწოდების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღის ვადაში.

სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა რა “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონითა და “ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის 12 ბრძანებით დამტკიცებული წესით.

დაადგინა:

1. ქ. ბორჯომში პეტრიწის ქუჩის, თორის ქ # 57-60-ის მიმდებარე ჩიხების, რობაქიძის ქ#13-ში, #4 საბავშვო ბაღთან მისასვლელი ჩიხის და ვაშლოვანის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი.
2. სატენდერო კომისიის წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით. დაევალოს კომისიის აპარატს უზრუნველყოს აღნიშნული ტენდერის განცხადების განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის წევრები:

- | | | |
|----|--|-----------------|
| 1. |  | ლ. ლიპარტია |
| 2. |  | ჯ. ბერიძე |
| 3. |  | გ. ყიფიანი |
| 4. |  | გ. ჩადუნელი |
| 5. |  | მ. პაიჭაძე |
| 6. |  | მ. მახარაიშვილი |
| 7. |  | ე. ლონდარიძე |